

სსიპ კასპის კოლეჯის  
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ კასპის კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე მექანიზმების შემუშავების მიზანია დაწესებულებაში ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება ხარისხის უზრუნველსაყოფად, რათა მიღწეულ იქნას პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სასწავლო პროცესის, სასწავლო გარემოს შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

მუხლი 2. ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები


1. კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლი, რომლის მთავარი ღირებულებებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.

P – Plan - დაგეგმე

D – Do - განახორციელე

C – Check - შეამოწმე

A – Act - განავითარე



**P(plan) - დაგეგმე** - პირველი ეტაპი არის დაგეგმვის ეტაპი. აღნიშნულ საფეხურზე იწყება პროცესების დაგეგმვა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

**D(o) - განახორციელე** - მერე ეტაპზე იწყება დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროცესების განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და გასაუმჯობესებელი საკითხების წინ წამოწევას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების კორექტირება, გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ცვლილებების განხორციელება.

**C(heck) - შეამოწმე** - ამ ეტაპის მიზანია განხორციელებული ცვლილებების შედეგების შესწავლა და შეფასება. ანუ ამ ეტაპზე ფასდება რამდენად კარგად იმუშავა/არ იმუშავა წინა ეტაპზე განხორციელებულმა მექანიზმებმა/პროცესებმა/ცვლილებებმა და შემუშავდება რეკომენდაციები.

**A(ct) - განავითარე** - ასახავს შეფასების შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მარეგულირებლების, დოკუმენტების, შეფასების

ინსტრუმენტების განახლება.

2. მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.

## **მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

1. კოლეჯში ზემოაღნიშნული დემინგის ციკლი (PDCA) ვრცელდება როგორც სწავლა-სწავლების, ასევე, დაწესებულებაში მიმდინარე სხვა თანმდევი პროცესების შესაფასებლად და ხარისხის უზრუნველსაყოფად:
  - საგანმანათლებლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ შორის სტუდენტების/მსმენელების შეფასების სისტემა);
  - პროფესიული მასწავლებლების/განმახორციელებლების შეფასება;
  - მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსის შეფასება;
  - ადამიანური რესურსის შეფასება;
  - საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის შეფასება;
  - სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერი მექანიზმებისა და ღონისძიებების შეფასება.
2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც, დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, პროფესიულ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, მსმენელებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.
4. კოლეჯში ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, ვერიფიკაციის ჯგუფისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ.
5. გარე შეფასება გულისხმობს ავტორიზაციის პროცესში მიღებულ შეფასებებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ასევე, მოწვეული ექსპერტების მიერ შეფასებას.

## **მუხლი 3. სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა**

1. სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სრული ჩართულობა.
2. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია **ვერიფიკაცია**, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების **შეფასების სისტემის** შეფასებას (შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულებები, შეფასების პროცესი). ვერიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები და პროცედურები რეგულირდება სსიპ კასპის კოლეჯში მოქმედი **„ვერიფიკაციის მექანიზმებით“ (N12, 15.02.2021)**.
3. **სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმება** - სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის კიდევ ერთი შიდა მექანიზმია სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი. რაც გულისხმობს საკონტაქტო საათებზე, მათ შორის შეფასებაზე დასწრებას, დასწრების კითხვარის შევსებას და ანალიზს. აღნიშნული მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება **შიდა მხარდაჭერის ჯგუფი**, რომლის შემადგენლობა და ხელმძღვანელი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია: სასწავლო პროცესზე დასწრება, შეფასებაზე დასწრება, კითხვარების შეგროვება (დანართი#1 - შიდა მხარდაჭერის კითხვარები), ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, შიდა მხარდაჭერის ჯგუფი განიხილავს მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შეიძლება შედიოდეს ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი.  
სასწავლო პროცესის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად გამოიყენება ასევე, **კალენდარული**

**გეგმები**, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს კალენდარულ გეგმებში მითითებულ მასწავლებლების კომენტარებს/რეკომენდაციებს, მოდულის მიმდინარეობასთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომენტარების მიხედვით, შესაძლებელია დასაკორექტირებელი იყოს სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საათების განაწილება. სასწავლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ცვლილების ინიცირება მოდულში.

4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, შემდეგი შიდა მექანიზმი არის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განხორციელებული **გამოკითხვები**, სხვადასხვა მიმართულებით. ეს მიმართულებებია:

- **პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა** - სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება სასწავლო პროცესთან, კოლეჯის ინფრასტრუქტურასთან, პროცედურებთან, სტუდენტურ სერვისებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამებთან და სხვ. დაკავშირებით;
- **პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა** - მასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. გამოკითხვის მიზანია მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენა და შედეგების ანალიზის საშუალებით პროგრამისა და პროცესების გაუმჯობესება.
- **კურსდამთავრებულების გამოკითხვა** - გამოკითხვის მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. კურსდამთავრებული აფასებს პროგრამის მიზნებს, მიღწეული სწავლის შედეგებს, მათ საჭიროებას, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აძლევს რეკომენდაციებს დაწესებულებას. აღნიშნული გამოკითხვით დაწესებულება მუდმივად აქვს ინფორმაცია საკუთარი კურსდამთავრებულების, მათი პროფესიული განვითარებისა და მიღწევების შესახებ.
- **პარტნიორი ორგანიზაციების/დამსაქმებლების გამოკითხვა** - გამოკითხვის მიზანია, დაწესებულებამ პარტნიორებისგან/დამსაქმებლებისგან მიიღოს უკუკავშირი თუ რამდენად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმები და სხვ.
- **ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა** - გამოკითხვის მიზანია, ადმინისტრაციისგან მიღებული უკუკავშირი (დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან, მათ საქმიანობასთან, ინფრასტრუქტურასთან, შეთავაზებულ სერვისებთან დაკავშირებით) და ამ უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულების განვითარება.

#### **მუხლი 4. კვლევის მეთოდოლოგია**

1. დაწესებულებაში, ამ დოკუმენტით განსაზღვრული კვლევები ტარდება დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული კვლევის მეთოდოლოგიით (კვლევის ინსტრუმენტი, პერიოდულობა, მეთოდოლოგია და სხვ.).

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე მექანიზმებს ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.
2. წინამდებარე მექანიზმებში ცვლილებები და/ან დამატებები ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.